ბჰაგავად გიტა

თარგმანი - დევარატა დას (დავით თუთბერიძე)

თავი 1
არჯუნა-ვიშადა-იოგა

1. **და რქვა დჰრიტარაშტრამ:**
   კურუკშეტრაზე - რჯულის ველზე ო სანჯაია
   რას მოქმედებენ ჩემები და პანდუს შვილები
   უზარმაზარი არმიებით პირისპირ მდგარნი
   და ულმობელი ბრძოლის ჟინით შეპყრობილები

2. **და რქვა სანჯაიამ:**
   ოდეს იხილა დაწყობილი ჯარი პანდავთა
   შემართული და საომარი ძალებით სავსე
   მიუახლოვდა თავის მოძღვარს დურიოდჰანა
   და კურუს მეფემ მთავარსარდალს მიმართა ასე:

3. გთხოვ ყურადღებით გადახედო ჰოი მოძღვარო
   პანდავთა ჯარის გასაოცარ საბრძოლო წყობას
   შენი შეგირდი დრუპადის ძე შეძლებდა მხოლოდ
   არმიის გაშლას და ფლანგების ასე დაწყობას

4. იქ ბევრი გმირი და ჩუბინი მოისარია
   ბჰიმ-არჯუნაზე არანაკლებ შეუპოვარი
   იუიუდჰანა, ვირატა, თუნდაც დრუპადა
   მშვილდოსანი და მოჯირითე სწორუპოვარი

5. რა მეომრები შეკრებილან იმათ რიგებში
   ყველა მათგანი უძლეველი გმირთა გმირია
   ეს დჰრიშტაკეტუ, ჩეკიტანა და კაშირაჯა
   იქაც პურუჯიტ, კუნტიბჰოჯა და შაიბია

6. იუდჰამანიუ, მძლეთამძლე უტტამაუჯა
   სუბჰადრასა და დრაუპადის გმირი ვაჟები
   ომში მრავალგზის გამარჯვებით გამოსულები
   ეტლებით ბრძოლის საოცარი დიდოსტატები

7. ახლა მოგაწვდი მთავარ ცნობებს ჩვენს არმიაზე
   ჰოი ბრამანო უმაღლესო ბრამანთა შორის
   ვინ წარუძღვება ჩვენს ფალანგებს და ვინ არიან
   ჩვენი სარდლები - უძლეველი ღმერთები ომის

8. შენ ღირსეულო, ბჰიშმა, კარნა, ასევე კრიპა
   ომში უძლევი აშვატჰამა თქვენი სადარი
   გმირი ვიკარნა, ბჰურიშრავა ძე სომადატის
   ფიცხელ ბრძოლაში უშიშარი და გულმაგარი

9. ჩემი გულისთვის უყოყმანოდ თავს რომ გასწირავს
სხვანიც არიან ამათ გარდა კიდევ გმირები
მცოდნე ყოველი საომარი ხელოვნებისა
ძალით აღსავსე, დიდებულად აღჭურვილები

10. მრავალნაცადი ბჰიშმას მიერ გამაგრებული
განუზომელად ძლიერია ჩვენი ჯარები
ხოლო მხედრობა შეკრებილი ბჰიმას გარშემო
არ მეჩვენება ჩვენს ლაშქართან შესადარები

11. ო ღირსეულნო, სტრატეგიულ პოზიციებზე
ურყევად დგომა თქვენთვისაა მთავარი ვალი
ასე ყველანი ფლანგებიდან დაიცავთ ბჰიშმას
რომელსაც წლებმა დაამჩნია თავისი კვალი

12. ამ დროს კი კურუს დინასტიის მამამთავარმა
ჭაღარა ბჰიშმამ გამეტებით ჩაბერა ბუკში
და მქუხარე ხმამ თითქოს ლომმა დაიღრიალა
დურიოდჰანას იმედები აღუძრა გულში

13. ბჰიშმას ბუკის ხმას შეუერთდა იმავე წამში
ხმა უამრავი ბუკ-ნაღარის დაფის ცემისა
და არემარე საშინელმა ხმაურმა შესძრა
გაიხსნა თითქოს კარიბჭენი ჯოჯოხეთისა

14. ამის პასუხად ბრძოლის ველის მეორე მხარეს
თეთრცხენებიან ულამაზეს საომარ ეტლში
წამოიმართნენ მადჰავა და გმირი არჯუნა
მყის ღვთაებრივი ნიჟარები აღიპყრეს ხელში

15. ააგუგუნა კრიშნამ თავის “ხუთღეროვანი”
ხმამ ბრძოლის ველზე გრიგალივით გადაიარა
არჯუნამ მძლავრად ჩაუბერა “ღვთისბოძებულში”
ჭექდა “ლერწამი”, თვით უძღები ბჰიმას ნიჟარა

16. მათ შეუერთდა საჰადევა შემდეგ ნაკულა
იუდჰიშტჰირა – პანდავთ მეფე და კუნტის შვილი
აახმიანეს ნიჟარები თავთავიანთი:
“კეთილხმოვანი”, “უძლეველი” და “მოოჭვილი”

17. უმალვე აჰყვა საომარი მოწოდების ხმას
პანდავთა მხარეს შეკრებილი გმირების დასი
ბრძენი სარდალი პანჩალების მეფე დრუპადა
აბჰიმანიუ უშიშარი ძე სუბჰადრასი

18. მეფე კაშისა და შიკჰანდი - დიდი მებრძოლი
დჰრიშტადიუმნა - უძლეველი ძე დრუპადისა
კრიშნას ერთგული სატიაკი, პრინცი ვირატა,
გმირი ვაჟები ულამაზეს დრაუპადისა

19. ჩაბერეს ბუკებს, პანდავების აზვირთდა ჯარი
სადავეს გლეჯდნენ დაზაფრული ბედაურები
ხმამ საზარელმა შეარყია მიწა და ზეცა
შიშისგან შეკრთა დჰრიტარაშტრას ძეთა გულები

20. მაშინ არჯუნამ ბრძოლისათვის მოზიდა მშვილდი
და მის დროშაზე ჰანუმანის სახემ ინათა
მაგრამ სამიზნედ დჰრიტარაშტრას იხილა ძენი
და გასროლამდე ამ სიტყვებით კრიშნას მიმართა:

21-22. და რქვა არჯუნამ:
ო, აჩიუტა, ჯარებს შორის წარმართე ეტლი
მომეც წყალობა, შემისრულე ერთი სურვილი
მინდა ვიხილო შერკინება ვისთან მომიწევს
მინდა ვიცოდე ვის აწუხებს ბრძოლის წყურვილი

23. მინდა შევხედო ვისაც ჩვენთან ომი სწადია
ჩვენდამი მტრობა ვის უბნელებს ჭკუა გონებას
ჩვენს წინააღმდეგ გამოსული ასე რომ ცდილობს
დურიოდჰანას უკეთური გულის მოგებას

24. და რქვა სანჯაიამ:
რა მოისმინა ეს სიტყვები, ჰოი მეფეო
მყის შეიწყნარა ჰრიშიკეშამ თავის რჩეული
და მისი თხოვნით გაიყვანა ორ ლაშქარს შუა
საბრძოლო ეტლი, ეტლებს შორის გამორჩეული

25. მათ წინ გამოჩნდა ბრძოლისათვის გამზადებული
ბჰიშმა, დრონა და დიდებულთა სხვათა მრავლობა
მაშინ თქვა კრიშნამ, პრითჰის ძეო, აჰა იხილე
ერთად შეყრილი კაურავთა შთამომავლობა

26. მზერა მოავლო პრითჰის შვილმა ორივე ლაშქარს
დაუტრიალდა საზარელი თვალწინ ხილვები
შეკრებილიყვნენ ერთმანეთის ამოსაჟლეტად
მამები, ძმები, ბიძები და ბიძაშვილები,

27. ნათესავები და ოჯახის მოკეთეები,
მოკავშირენი უმტკიცესი ძმათა ძმობისა
მაშინ არჯუნას მწუხარებით სავსე გულიდან
სიტყვა აღმოხდა საოცარი თანაგრძნობისა

28. და რქვა არჯუნამ:
როდესაც ვხედავ, ჰოი კრიშნა, სანათესაოს
დაუფლებია ერთმანეთის მტრობა წყეული
თვალს ვერ ვუსწორებ ამ საშინელ სანახაობას
პირი მიშრება, მიკანკალებს მთელი სხეული

29. ო ღმერთო ჩემო, ვერ გავიგე რა მემართება
ისე მაჟრჟოლებს თითქოს ტანში ქარი ჩამიდგა
მშვილდი განდივა მივარდება უკვე ხელიდან
კანი ამეწვა ხოლო თმები ყალყზე დამიდგა

30. ფეხზე ვერ ვდგები ამერია ჭკუა-გონება
არ შემიძლია მშვიდად ყოფნა გინდა მომკალი
უბედურების ნიშნებს ვხედავ ჰოი კეშავა
ჩანს რომ უკუღმა დატრიალდა ბედის ბორბალი

31. ანდა ბრძოლაში თუ გავჟლიტავ საკუთარ მოდგმას
სიავის გარდა რაღას უნდა მიგრძნობდეს გული
არ მინდა კრიშნა არც სამეფო არც გამარჯვება
ნათესავების სისხლის ფასად მოპოვებული

32. ერთი მითხარი ო, გოვინდა რაში გვჭირდება
ბედნიერება, სიმდიდრე და სიცოცხლე თავად
თუკი ისინი ვისთვისაც გვსურს ეს ყოველივე
ჩვენ წინააღმდეგ შეკრებილი გვიყურებს ავად

33. დგანან ელიან ძმათამკვლელი ომის დაწყებას
ჩვენი მამები ბიძები და ბიძაშვილები
ნათესავები, მეგობრები, მოკეთეები
ჩვენი მოძღვრები, შვილები და შვილიშვილები

34. თუკი ყველანი მზად არიან დათმონ სიცოცხლე
და მასთან ერთად სიმდიდრე და ბედნიერება
მითხარი კრიშნა გევედრები მე რაღად მინდა
ტახტი, სამეფო, თუნდაც მთელი ქვეყნიერება

35. ო ჯანარდანა, მათი მოკვლა როგორ ვინატრო
ტახტი კი არა მომცენ თუნდაც სამი სამყარო
ან რა სიხარულს მომანიჭებს კიდეც რომ შევძლო
და დჰრიტარაშტრას შვილთა სისხლი აქვე დავღვარო

36. მოძალადეებს თუ დავხოცავთ ჰოი მადჰავა
ცოდვის სიმძიმე უცილობლად ჩვენზე იქნება
და მით უმეტეს ნათესავთა განადგურებით
ვით შეგვემატოს ან სახელი ანდა ღირსება

37. თუკი ისინი ანგარებით შეპყრობილები
ძმათამკვლელ ომში ვერ ხედავენ ცოდვას საშინელს
ჩვენ რაღა მოგვდის თუ ავკარგის გარჩევა ვიცით
ასეთ ცოდვაში ფეხის ჩადგმა რად არ გვაშინებს

38. ძმათამკვლელ ომში დაემხობა დინასტიები
სახელოვანი ოჯახების გვარი და მოდგმა
თუ კარგად გვესმის შედეგები გვარის დამხობის
რაღატომ უნდა ჩავიდინოთ ასეთი ცოდვა

39. გვარის დამხობით მოიშლება ადათ-წესები
რჯულის კანონებს უწესობა გაანადგურებს
დაავიწყდებათ თავის ვალი ოჯახის წევრებს
და მათ გულებში უღმერთობა დაისადგურებს

40. ამის შედეგად კდემამოსილ ოჯახის ქალებს,
დაეუფლებათ საშინელი გრძნობები ქვენა
იშვება მათგან უკეთური შთამომავლობა
სისხლის აღრევით გაჩენილი უჯიშო ფენა

41. ასეთ თაობებს ჯოჯოხეთის გეენა ელით
მაგათ გამჩენსაც არ აცდება ცეცხლის ენები
დაემხობიან წინაპრებიც რახან შეწყდება
შესაწირავი მათი სულის მოსახსენები

42. დიდ ცოდვაშია გარეული ვინც გვარს ამოწყვეტს
და მოამრავლებს ქვეყანაზე უგვან არსებებს
ის ანგრევს წესებს მარადიულს რომლის გარეშე
ვერც სახელმწიფო, ვერც ოჯახი ვერ იარსებებს

43. ასეთ ცოდვაში დამნაშავე ადამიანებს
საგვარეულო დინასტიის დამხობის გამო
ასე მსმენია გადმოცემით ო, ჯანარდანა
წამება ელით ჯოჯოხეთში სამარადჟამო

44. საოცარია რომ ამ გზაზე დავდექით თავად
ცოდვის ჩადენას უგნურები თავად ვაპირებთ
სამეფოსა და გამარჯვების მოსაპოვებლად
ნათესავების სისხლის ზღვაშიც გავინაპირებთ

45. უმჯობესია დავიღუპო ბრძოლის გარეშე
ვიდრე ცოდვილმა ჯოჯოხეთის კარი გავაღო
ამას ჯობია იარაღით მოსულმა მტერმა
თავადვე მომკლას უმწეო და უიარაღო

46. და რქვა სანჯაიამ:

ამით არჯუნამ დაასრულა თავის სიტყვები
დამწუხრებულმა საკუთარი მოყვასის ბედზე
ვეღარ შეიძლო ფეხზე დგომა დაეშვა ეტლში
გულგასენილმა მშვილდ-ისარი გადადო გვერდზე

ასე გადმოგვცემს შრი კრიშნასა და არჯუნას საუბარს ღირსეული უპანიშადის შრიმად ბჰაგავად გიტას პირველი თავი

არჯუნა–ვიშადა–იოგა

ॐ

თავი 2
სანქჰია-იოგა

1. **და რქვა სანჯაიამ:**
   ოდეს იხილა მწუხარებით სავსე არჯუნა
   ხოლო მის გულში თანაგრძნობის მწველი ფიქრები
   როს შეამჩნია თვალზე ცრემლი მამაც მეომარს
   მადჰუსუდანამ ინება და ბრძანა სიტყვები

2. **და რქვა უზენაესმა ღმერთმა სახიერმა:**
   საიდან მოგწვდა სიბინძურე გადამწყვეტ წამში
   ბრძოლის ველიდან ჯაბანივით მიიქეც გასვლად
   არიულ წესებს რად ივიწყებ, ასეთი გზებით
   სირცხვილს იპოვი სანატრელი სამოთხის ნაცვლად

3. საჭურისივით ნუ იქცევი ო პრითჰის ძეო
   ასეთი სენი სამარცხვინო რა შეგხვედრია
   ჩქარა გულიდან მოიშორე სიძაბუნე და
   წამოიმართე, მტერთა ძლევა შენი ხვედრია

4. **და რქვა არჯუნამ:**
   ბჰიშმას და დრონას ვით შევკადრო ისრები როცა
   ჩემგან ეკუთვნით მხოლოდ ლოცვა სამადლობელი
   ვერ გამიგია მათ დამხობას როგორ მიბრძანებს
   მადჰუსუდანა, მტერთა თვისთა დამამხობელი

5. მოძღვარი მოვკლა, თუნდაც მცდარი, როგორ ვიხარო
   სისხლით მექნება წაბილწული ლუკმა ყოველი
   ხელის აღმართვას ასეთ ხალხზე უმჯობესია
   წყალობის თხოვნით გავიტანო წუთისოფელი

6. აღარც კი ვიცი რა სჯობია - ძლევაი მტერთა
   თუ მტერთა ხელით სიკვდილი და ისე ცხონება
   თუმცა რა მტერი, წინ გვიდგანან ბიძაშვილები
   მათი დაღუპვით დამთავრდება ჩვენი ცხოვრება

7. სიძუნწის სენმა მოკლა ჩემში გმირის ბუნება
   აწ კი უძლურმა საკუთარი ვეღარ ვცან ვალი
   რაშია მადლი, გეკითხები როგორც შეგირდი
   აჰა მოგენდე, მომაპყარი წყალობის თვალი

8. რა ვუყო ტკივილს აუტანელს გულს რომ მისერავს
გრძნობას რომ მიშრობს როგორც ქვიშას უდაბნოს ქარი
ვეღარ უშველის ჩემს სატანჯველს ვერც ხელმწიფება
ვეღარც სამეფო თუნდაც იყოს სამოთხის დარი

9. **და რქვა სანჯაიამ:**
რა მოახსენა ეს სიტყვები გრძნობათა უფალს
მტერთა მძლეველმა, დამთრგუნველმა ბნელი ძალისა
ესღა წარმოსთქვა – "ო გოვინდა, მე არ ვიბრძოლებ"
და კვლავ მიეცა მდუმარებას შემდგომ ამისა

10. მაშინ მეფეო, მბრძანებელო ბჰარატას გვარის,
არმიებს შორის ბრძოლის ველზე მდგარმა უფალმა
მზერა მიაპყრო არჯუნას და წყნარი ღიმილით
დარდით აღსავსე თავის ერთგულს ასე მიმართა

11. **და რქვა უზენაესმა ღმერთმა სახიერმა:**
სიტყვებს კი ამბობ მეცნიერულს როგორც სწავლული
თუმცა მას დარდობ რაც არაა საგანი დარდის
ნამდვილი ბრძენი არ მისტირის წარმავალ სხეულს
მკვდარია იგი თუ ჯერ კიდევ ცოცხალი დადის

12. ჩვენ ვარსებობთ და ვიარსებებთ მარადიულად
როგორც მე და შენ ისე მეფე ყველა აქ მყოფი
არც არასოდეს გაგვივლია და არც მოგველის
არარსებობა - თუნდაც ერთი წამის სამყოფი

13. ისევე როგორც გაჩენიდან ღრმა სიბერემდე
თანდათანობით იცვლის სხეულს ყველა არსება
სიკვდილის შემდეგ ახალ სხეულს ღებულობს სული
და არ აშფოთებს გონიერ კაცს გარდაცვალება

14. წუთისოფელში კუნტის ძეო ჭირი და ლხინი
მონაცვლეობენ წელიწადის დროების მსგავსად
სწორედ იმიტომ რომ გრძნობები წარმავალს ელტვის
და ამას უნდა გაუმკლავდე დათმენის ფასად

15. ის ვინც სიმშვიდეს ინარჩუნებს ჭირსა და ლხინში
და მუდამ ცდილობს მოთმინების გზებით იაროს
ასეთი კაცი უდრტვინველი ჰოი არჯუნა
მართლაც ღირსია უკვდავებას რომ ეზიაროს

16. მარადიული არ განიცდის არსის ცვლილებას
რაც კი არსს იცვლის, მიიჩნევა არარსებულად
ასე დაასკვნა ვინც იხილა ჭეშმარიტება,
და ორი არსის შეიმეცნა ბუნება სრულად

17. იცოდე რასაც მოკვდავ ტანში დაუდევს ბინა
არის უცვლელი და უკვდავი თავის ბუნებით
და ჭეშმარიტად ქვეყანაზე არავის ძალუძს
რომ უკვდავებას დაემუქროს განადგურებით

18. ყველა სხეული იღუპება ადრე თუ გვიან
მაგრამ სხეულის ბინადარი უკვდავი არის
სული არ კვდება არასოდეს და ამიტომაც
უნდა იბრძოლო მეომარო ბჰარატას გვარის

19. ვინც ამბობს "მოვკალ" ანდა იტყვის "აჰა მომკლავენ"
ორივე ცდება უმეცრებით გარემოცული
რადგან ფიქრობენ რომ უკვდავი სული ვინმეს კლავს
ან ვინმეს მიერ შეიძლება იქნეს მოკლული

20. სული არ კვდება არასოდეს, არც იბადება
არწარმოქმნილი, არც ოდესმე წარმოიქმნება
მარადიული, არშობილი და უასაკო
არ იღუპება როცა ტანში სიცოცხლე ქრება

21. თუ კაცი იცნობს არშობილი სულის ბუნებას
რასაც სიკვდილი ვერ დაამჩნევს თავის იარებს
ასეთი კაცი პრითჰის ძეო ან როგორ მოკლავს
ან მოკვლის სურვილს ვინმეს როგორ გაუზიარებს

22. ისევე როგორც კაცი იცვლის უვარგის სამოსს
ძველმანს დააგდებს, ტანისამოსს იშოვის ახალს
ასევე სული როცა ხედავს მომაკვდავ სხეულს
მიატოვებს და გამოსადეგ სხვა სხეულს ნახავს

23. სულს ვერ გახლიჩავს იარაღი ვერანაირი
ვერ შეეხება ვერასოდეს მას ცეცხლის ალი
ვერ გამოაშრობს ვერ დაშრიტავს ქარი ხორშაკი
ვერ დაასველებს, ვერც დაალბობს ვერასდროს წყალი

24. სულს განუყოფელს, დაუშრეტელს, უხსნელს და უწვავს,
ვერ შეეხება ძალა ცეცხლის, წყლისა და ქარის
მუდამ იგივეს, მარადიულს, უცვლელს და უძრავს
მას ყველგან ყოფნა შეუძლია და ყველგან არის

25. სულზე ამბობენ რომ თვალთაგან უხილავია
დროში უცვლელი და გონებით შეუცნობელი
სწორედ ამიტომ თუკი გესმის მისი ბუნება
რად გინდა დარდი, თვალზე ცრემლი შეუშრობელი

26. თუ მაინც ფიქრობ რომ ამქვეყნად ერთხელ მოდიხარ
რომ მხოლოდ ერთხელ შეგიძლია ნახო სამყარო
ერთხელ შობილი ერთხელ კვდები სხეულთან ერთად
დარდის მიზეზი მაინც არ გაქვს ო, მკლავმაგარო

27. რაც იბადება იგი კვდება, ხოლო მომკვდარი
კვლავ იბადება - ეს წესია გარდაუვალი
ცხადზე ცხადია მოსახდენი მაინც მოხდება
დარდსა და გლოვას აღასრულო ჯობია ვალი

28. თუ კი ფიქრობ რომ ყოველივე უხილავია
გამოვლინდება, ისევ ქრება როგორც სიზმარი
არარსებულის უხილავში გადასვლის გამო
რაღა აზრი აქვს დარდს და გლოვას აბა მითხარი

29. ზოგი უყურებს სულს უხილავს როგორც სასწაულს
ზოგიც მოგვითხრობს თუ როგორი სასწაულია
ზოგი კი უსმენს სასწაულზე მოთხრობილ ამბებს
ზოგს მოსმენითაც ვერაფერი ვერ გაუგია

30. ამრიგად გეტყვი ო, ბჰარატას შთამომავალო
ცოცხალთა გამო ნუ ეძლევი დარდსა და გლოვას
სხეულში მცხოვრებს ვერაფერი გაანადგურებს
სულს მარადიულს ვერასოდეს ვერავინ მოკლავს

31. რაც შეეხება შენს საკუთარ მოვალეობას,
მეომრისათვის არ არსებობს სხვა არჩევანი
გარდა ერთისა - ყოყმანის და ეჭვის გარეშე
ომში დაიცვას სიმართლე და რჯულის მცნებანი

32. ნეტარი არის მეომარი ო პრითჰის ძეო
ვისთვისაც ბედი ომის ნიშნად ჩამოკრავს ზარებს
სიმართლისათვის თავდადების შემთხვევას ჩუქნის
და თავად უღებს ზეციური სამოთხის კარებს

33. ხოლო თუ მაინც უარს იტყვი და არ იბრძოლებ
შენი სახელი ქვეყანაზე დიდხანს ვერ დაჰყოფს
ცოდვას ჩაიდენ საკუთარი გზის უარყოფით
და ამ ცოდვისას უცილობლად მოიმკი ნაყოფს

34. შენს სისუსტეზე თაობები ილაპარაკებს
ჩვეულ დიდებას სამუდამო სირცხვილი შეცვლის
პატივის აყრა მეომრისთვის უარესია
ვიდრე წამება ჯოჯოხეთის კარებში შესვლის

35. მხედართმთავარნი მოწიწებით რომ გიყურებენ
ისე ჩათვლიან თითქოს შიშმა დაგრია ხელი
დაიკარგება შენი გვარის პატივისცემა
გახვრეტილ გროშად დაფასდება სახელი შენი

36. მერე კი მტერიც უდიერად მოგიხსენიებს
ამაზე მწარე სატანჯველი რაღა იქნება
როცა გახდება სასაცილო გმირობა შენი
გაითელება როცა ფეხქვეშ შენი ღირსება

37. ო კუნტის ძეო, გზა ერთია - უნდა იბრძოლო
აღსდექ, ღირსება დაიცავი შენი სახელის
თუ ბრძოლის ველზე დაეცემი სამოთხეს ნახავ
თუ გაიმარჯვებ ბედნიერი მეფობა გელის

38. ნუღარ გაღელვებს ამ წუთიდან ჭირი და ლხინი,
გამარჯვება თუ დამარცხების მწარე განცდები
ბრძოლაში შედი კუნტის ძეო მხოლოდ ბრძოლისთვის
და თუ ამგვარად იმოქმედებ ცოდვას აცდები

39. რაც მოგიყევი განსჯა იყო, ახლა ისმინე
ბუდჰი იოგა - მოქმედება ვით მართებთ ბრძენთა
თუ გამორჩენას არ ელი და ისე იღვაწებ,
ვერ დაგიმონებს შედეგები საქმეთა შენთა

40. არ იზარალებ, მცდელობაც კი შეგენახება
თუკი ამგვარად შეეცდები მიღწევას მიზნის
თვით უმცირესი ძალისხმევაც ამ გზაზე მავალს
საწუთროების უდიდესი საფრთხისგან იხსნის

41. ამ გზაზე მდგარი ურყევია თავის ზრახვებში
მის წინ ყოველთვის ერთადერთი მიზანი არის
მერყევი კაცის გონება კი დახლართულია
ო, საყვარელო მემკვიდრეო კურუთა გვარის

42. ადამიანებს, ვისი ცოდნაც ფრიად მწირია,
ვედების მხოლოდ ხატოვანი იტაცებს ენა
სამოთხის ხიბლი, ჯანმრთელობა, ძალაუფლება,
მდიდარ ოჯახში დაბადება, შვილთა გაჩენა

43. გამორჩენისთვის რომ იცავენ რჯულის კანონებს
სულ საკუთარი ნეტარების გამო იღწვიან
ათასი სახის რიტუალებს აღასრულებენ
ამაზე მაღლა თუ რამე დგას არც კი იციან

44. სიამესა და განდიდებას დანატრებულებს
გონებას ურევს წუთისოფლის ხიბლი წყეული
არ ეღირსებათ მათ სამადჰი - აღქმის სრულყოფა
ჭკუა-გონების დაუნჯებით გამოწვეული

45. დიდი ნაწილი ვედებისა ჰოი არჯუნა
წუთისოფლში სამი გუნის ცვლილებებს ჰყვება
შენ კი უცვლელი შეიმეცნე, უშფოთველ იყავ
და შენი ჭკუა ორმაგობას ნუღარ აყვება

46. თუკი ვედების მთავრ მიზანს - ბრაჰმანს შეიცნობ
მყისვე მიაღწევ შენ ვედების ყველა სხვა მიზანს
ისე ვით დიდი წყალსაცავი მოგცემს ყველაფერს
რასაც პატარა გუბეები შეძლებს და იზამს

47. შენ მხოლოდ შრომის უნარი გაქვს მაგრამ იცოდე
შრომის ნაყოფთა მოცემისა - არ გაქვს უნარი
არ იფიქრო რომ ამ ნაყოფთა შენ ხარ მიზეზი
მაგრამ შრომაზე ამის გამო არ თქვა უარი

48. დანიშნულება აღასრულე დამჯდარი ჭკუით
წარმატების თუ მარცხის ფიქრებს ნუ ემონები
იოგა ქვია ო არჯუნა ამ თავდაჭერას
და მოქმედებას დაწყნარებულ ჭკუა-გონებით

49. ყოველი სახის ცოდვილ საქმეს აქციე ზურგი
და უანგარო მოქმედებას მიანდე ჭკუა
საკუთარ შრომის ნაყოფებზე დახარბებულებს
ჰოი არჯუნა, იცოდე რომ ძუნწები ქვია

50. ვინც უანგარო მსახურების იოგას გაჰყვა
სიცოცხლეშივე მოიშორა მან ტვირთი კარმის
ბუდჰი-იოგას გზას მიყევი რადგანაც იგი
ყველანაირი მოქმედების გვირგვინი არის

51. ბუდჰი-იოგას საშუალებით ნამდვილი ბრძენი
სრულად იშორებს ცხოვრებაში დაგროვილ კარმას
თავისუფლდება დაბადება-სიკვდილის წრისგან
და უკან ტოვებს მწუხარებას, ტკივილს და ტანჯვას

52. მაშინ როდესაც გამოაღწევს შენი გონება
ამქვეყნიური ილუზიის უღრანი ტყიდან
ვერ აგაღელვებს ვერაფერი - რასაც მოისმენ
და რაც გსმენია დაწყებული გაჩენის დღიდან

53. როცა მიაღწევ შეურყვნელ და ურყევ სამადჰის
დამშვიდებულს და უნაპირო ზღვასავით გაშლილს
როცა ვედების ტკბილი ენაც ვერ აგაღელვებს
მაშინ აღადგენ მივიწყებულ უფალთან კავშირს

54. **და რქვა არჯუნამ:**
ვინაც დამკვიდრდა ცოდნაში და შეწვდა სამადჰის
ვინაც შეძლო და მართავს ჭკუას თავის ნებაზე
მითხარ კეშავა ან როგორ ზის ან როგორ დადის
ისიც მითხარი რას ამბობს და რომელ ენაზე

55. **და რქვა უზენაესმა ღმერთმა სახიერმა:**
მას ეძახიან ცოდნაში მყოფს ვინც დაიოკა
სურვილებისგან აღგზნებული ჭკუის დინება
ვინც შეიმეცნა საკუთარი სულის ბუნება
და მასში ჰპოვა სიამე და კმაყოფილება

56. მტკიცე ჭკუის ბრძენს უწოდებენ ვინაც დასძლია
მიჯაჭვულობა, მრისხანება, სიკვდილის შიში
თანაბრად ხვდება სიხარულს და უბედურებას
მუდამ სიმშვიდეს ინარჩუნებს ჭირსა და ლხინში

57. ვინაც ყველაფერს თანაბარი სიმშვიდით ხვდება
აღარც ავი სწყინს, აღარც კარგი ახარებს დიდად
ვინაც ამქვეყნად არასოდეს არაფერს ელტვის
ის ცოდნაშია და სამყაროს უყურებს მშვიდად

58. ვისაც აქვს ძალა მოარიდოს გრძნობები საცდურს
ასეთი კაცი იმყოფება ურყევ ცოდნაში,
ისევე როგორც კუ შემალავს ბაკანში ფეხებს,
გრძნობას მოთოკავს სანამ თვითონ შევა ცოდვაში

59. სხეულში მყოფმა რომც არიდოს გრძნობები საცდურს
მათდამი ლტოლვა, მათი გემო კვლავაც დარჩება
მაგრამ თუ ნახავს უფრო მაღალ, სულიერ გემოს
ადრინდელ გემოს დაივიწყებს და გადარჩება

60. მაგრამ გრძნობები ვერაგია ო კუნტის ძეო
ძალიან მძლავრი თანაც ძალზედ მოუსვენარი
ისეთ ხალხსაც კი დაატარებს თავის ნებაზე
ვისაც აქვს ცოდნა და მოთმენის დიდი უნარი

61. და ჭეშმარიტად ცოდნაშია განმტკიცებული
კაცი რომელიც შეეცდება და იმდენს იზამს
რომ თავდაჭერის საშუალებით მოთოკავს გრძნობებს
მერე ამ გრძნობებს მე მომაპყრობს - უმაღლეს მიზანს

62. როდესაც კაცი გამუდმებით საცდურზე ფიქრობს
იგი ამ საცდურს ეჯაჭვება ყოვლისმედეგად
მიჯაჭვულობა თავისი მხრივ ტკბობის ჟინს ბადებს
ხოლო ტკბობის ჟინს მრისხანება მოსდევს შედეგად

63. მრისხანებისგან იბადება თავდავიწყება
თავდავიწყებას კვალში მოსდევს ჭკუის არევა
ჭკუის არევა გონსაც ახშობს ხოლო გონდახშულს
კვლავ წუთისოფლის ტყვეთა რიგში ელის გარევა

64. ვინაც შეძლო და გაუმკლავდა ნდომა არნდომას
და უარი თქვა ცდუნებებით გავსებულ თასზე
წმინდა წერილთა მითითება ვინაც დაიცვა
ღმერთის წყალობა უეჭველად გადმოვა მასზე

65. მისი გონება ხდება მტკიცე, ხოლო გრძნობები
აღარ ცდილობენ საცდურებზე კბილის ჩავლებას
ბუნების, ჭკუის და სხვებისაგან მიყენებული
სამგვარი ტანჯვა ვეღარ ახდენს მასზე გავლენას

66. უღმერთო ჭკუა არის მუდამ უკმაყოფილო
გონის სიმტკიცეს არყევს ამ დროს ფუჭი ფიქრები
უკმაყოფილო ვერასოდეს ნახავს მშვიდობას
მის გარეშე კი ბედნიერი როგორ იქნები

67. როდესაც ჭკუა გახელებულ გრძნობას აყვება
თუნდაც ერთადერთს, თავაშვებულს და აულაგმავს
ის გონებასაც უეჭველად თან გაიყოლებს
ისე ვით ქარი შუა ზღვაში მოტივტივე ნავს

68. სწორედ ამიტომ მოისმინე ო მკლავმაგარო
შენს შეკითხვაზე გიპასუხებ ახლა მარტივად
ისეთი კაცი ცოდნაშია დამკვიდრებული
გრძნობები საცდურს საბოლოოდ ვინც მოარიდა

69. როდესაც სხვები იღვიძებენ, ბრძენისთვის არის
უკუნი ღამე და უაზრო ძალთა კვეთება
ხოლო როდესაც სხვა იძინებს, ბრძენისთვის დგება
სულის ნათელი და სამყაროს გამოკეთება

70. ვისაც ვერ არყევს სურვილების მძლავრი ნაკადი
ოკეანეს ჰგავს არაფერი რომ არ აშფოთებს
და თუმცა მასში უამრავი მდინარე ჩადის
ნაპირებიდან არ გადმოდის ის არასოდეს
ხოლო თუ კაცი სურვილებმა გადაიყოლა
არ ეღირსება არასოდეს იმას მშვიდობა

71. მშვიდობას ჰპოვებს კუნტის ძეო მხოლოდ ის კაცი
ვინც დაიოკა სურვილებით გავსილი ლეში
ვინც ქვეყანაზე საკუთრებად არას მიიჩნევს
თავს იმად არ თვლის რაც არაა სინამდვილეში

72. ასეთი არის სულიერი მდგომარეობა
როცა აღარ ხარ ილუზიის უკუნ ღამეში
ცის სასუფეველს დაიმკვიდრებს - ბრაჰმა ნირვანას
ვინც მას მიაღწევს თუნდაც ყოფნის ბოლო წამებში

ასე გადმოგვცემს შრი კრიშნასა და არჯუნას საუბარს ღირსეული უპანიშადის შრიმად ბჰაგავად გიტას მეორე თავი – სანქჰია–იოგა

თავი 7
გიანა-ვიგიანა იოგა

1. **და რქუა უფალმა სახიერმა:**
ახლა ისმინე პრითჰის ძეო როგორ მომაღწევ
ეჭვებისაგან საბოლოოდ თავისუფალი
თუ მუდამ ჩემზე მოპყრობილი ჭკუა-გონებით
იოგას გზებით თავშესაფრად მცანი უფალი

2. მსურს რომ გაუწყო სრული ცოდნა გონისმიერი
მასაც გაგანდობ რაც გონს მიღმა არის საცნობი
თუ ჭეშმარიტად ყოველივე ამას ჩასწვდები
აღარ დაგრჩება სამყაროში სხვა შესაცნობი

3. სრულყოფილებას ათასიდან ერთი თუ ეძებს
ათას მძებნელში შეიძლება გამართლდეს ერთის
და გამართლებულ ათასს შორის ერთმა თუ იცის
ჩემი ბუნება - ჭეშმარიტი ბუნება ღმერთის

4. მიწა წყალი ცეცხლი ჰაერი ასევე სივრცე
ჭკუა გონება აჰანკარა - ანუ მეობა
ესაა ჩემი ცალკე მდგომი რვა ელემენტი
და ჩემი გარე ენერგიის რვა სახეობა

5. გარდა ამ დაბალ ბუნებისა იხილე ჩემი
აღმატებული ენერგია ო მკლავმაგარო
ეს ენერგია კრებულია სულთა ცოცხალთა
და სარბიელი მათი არის მთელი სამყარო

6. ეს ორი არსი ყველა ქმნილის სათავე არის
მე კი ამ ორი ენერგიის საშო საწყისი
ეს მირიადი სამყარონი ჩემში სუფევენ
მე ვარ ყოველის დასასრული და დასაწყისი

7. ჭეშმარიტება არ არსებობს ჩემზე მაღალი
მომპოვებელო სიმდიდრისა გეტყვი ამგვარად
რასაც კი ხედავ ყოველივე ჩემზე ეყრდნობა
ძაფზე ასხმული მარგალიტის მძივების დარად

8. ო კუნტის შვილო წყალში გემოდ გამოვვლინდები
მზისა და მთვარის ბრწყინვალების მე ვარ ნათელი
ვედურ მანტრებში ვარ ომკარა - წმინდა მარცვალი
ბგერა სივრცეში, ხოლო კაცში - ნიჭის სანთელი

9. მე ვარ ასევე ცეცხლის სითბო და მხურვალება
თავდაპირველი შეურყვნელი მიწის სურნელი
მე ვარ სიცოცხლე ყველაფერში რაც ცოცხალია
ასკეზა მათი ვინც განდგომის არის მსურველი

10. აჰა იხილე პრითჰის ძეო რომ ვარ მარცვალი
მარადიული დასაბამი ყოველთა ქმნილთა
ვარ გონიერთა სხივმოსილი ჭკუა გონება
თვალისმომჭრელი ბრწყინვალება ძლევამოსილთა

11. მე ვარ ასევე ძლიერება კაცთა ძლიერთა
ვინც მისწრაფებას ავხორციელს დაუდო ბოლო
მე სჯულიერი შეუღლების ვარ ნეტარება
ბჰარატას გვარის დიდო მეფევ და წინამძღოლო

12. გინდ უმეცრება გინდა ვნება გინდ სათნოება
ყოფიერების - ეს იცოდე - არის ფორმები
და მართალია ყველა ჩემგან მომდინარეობს
მაგრამ მე მათი გავლენის ქვეშ არ ვიმყოფები

13. ყოფიერების სამი ფორმით გზააბნეული
მთელი სამყარო ილუზიის ბურუსში ცურავს
და ამ ფორმების ტყვეობაში ვერავინ მხედავს
ილუზიაზე მაღლა მყოფს და ამოუწურავს

14. ღვთაებრივია ეს ფორმები ჩემგან შობილი
თავის დაღწევა მათგან არის ძალიან ძნელი
მაგრამ თუ კაცი მომენდობა წყალობას ვაძლევ
რომ ილუზიის გადალახოს ბურუსი ბნელი

15. არ მენდობიან უკეთურნი: ბრიყვი უჭკუო,
ზნედაცემული – მიმდევარი მხოლოდ ავისა,
სწავლული ვისაც ილუზიამ წარტაცა ცოდნა
და ვინც ბუნება დემონური გაითავისა

16. შემომიდგება ოთხი სახის პატიოსანი:
გაჭირვებული, შემდეგ ცოდნის მაძიებელი,
კეთილდღეობის მონატრული და მეცნიერი
საგანთა არსი ვინც შეიცნო საძიებელი

17. უკეთესია ამათ შორის ვისაც აქვს ცოდნა
მემსახურება დღენიადაგ თანაც ერთგულად
მე ვარ ძვირფასი იმისათვის და რა თქმა უნდა
ჩემთვისაც იგი ძვირფასია გამორჩეულად

18. ყველა ეს სული დიადია მაგრამ ბრძენკაცი
ვფიქრობ რომ ჩემგან აღარაა განსხვავებული
უმაღლეს მიზანს - მე მომაღწევს რადგანაც მუდამ
არის ერთგული მსახურებით დაკავებული

19. მრავალ და მრავალ დაბადება-სიკვდილის შემდეგ
როცა იხილავს რომ ყოველგან არის უფალი
სიბრძნით აღსავსე მომენდობა მაგრამ ცოტაა
ასეთი სული დიადი და თავისუფალი

20. ვისი ცოდნაც კი მიწიერმა ლტოლვამ წაიღო
ემსახურება ჭკუამწირი სხვადასხვა ღმერთებს
და საკუთარი მისწრაფებით რომელიმესთვის
თაყვანისცემის აღასრულებს დადგენილ წესებს

21. მე ვიმყოფები ყველას გულში ზესულის სახით
და თუ კი ვინმე დააპირებს მსხვერპლის გაღებას
მას არჩეული ღმერთის მიმართ რწმენას ვუმტკიცებ
რომ ერთგულებით ემსახუროს თავის ღვთაებას

22. რწმენით აღსავსე საკუთარი ღვთაების მიმართ
იგი ღებულობს ნატვრის შედეგს და უხარია
სინამდვილეში მე ვასრულებ ყველა ამ სურვილს
ეს მხოლოდ ჩემგან ბოძებული საჩუქარია

23. წარმავალია ამ ღმერთების ყველა წყალობა
მათთან მოხვდება მიმდევარი მათი ყოველი
უგნურებისგან განსხვავებით ჩემმა ერთგულმა
ჩემს გვერდით ჰპოვოს საუკუნო სასუფეველი

24. ვინაც არ იცის ჩემი ფორმა მარადიული
ამას ამტკიცებს უმეცარი და მანკიერი:
თითქოს თავიდან უჩინარი, სახის არმქონე
გამოვლენისას შევიქმენი მე სახიერი

25. უგნურთ ახდილად არასოდეს არ ვეცხადები
მათგან მიფარავს ჩემი ძალა საზღვრად დებული
როცა მოვდივარ ქვეყანაზე ბრიყვი ვერ ხვდება
რომ ვარ უკვდავი და უხრწნელად დაბადებული

26. ჰოი არჯუნა წვრილად ვიცი მე ყველაფერი
რაც კი რამ ხდება მომხდარა თუ მოსახდენია
და მართალია ქვეყანაზე არავინ მიცნობს
მე ყველა ვიცი ვინ ვინ არის და რამდენია

27. ჰოი ბჰარატა, მტერთა რისხვავ, აყოლილია
ავის და კარგის ორმაგობას ყველა შობილი
და ყველა იმავ ილუზიის ტყვედ იბადება
რომელიც არის ორმაგობით წარმოშობილი

28. თუ ცხოვრებიდან ცხოვრებამდე პატიოსანი
კაცი ყოველი ცოდვისაგან უცხო გახდება
ილუზორული ორმაგობის დაძლევის შემდეგ
იგი ერთგული მსახურების გზაზე დადგება

29. ის მარადიულ თავშესაფარს ჩემში იპოვის
რომ მოიშოროს სიბერის და სიკვდილის გარსი
ასეთმა კაცმა ჭეშმარიტად ნახა ბრაჰმანი
და შეიმეცნა სულიერი ცხოვრების არსი

30. თუკი ერთგული მსახურებით უკვე შემიცნო
არსთაგანმრიგე, ღმერთთა მეფე, წირვის უფალი
მაშინ სიკვდილის მძიმე ჟამსაც გავახსენდები
და ჩემთან მოვა საბოლოოდ თავისუფალი

ასე გადმოგვცემს შრი კრიშნასა და არჯუნას საუბარს
ღირსეული უპანიშადის შრიმად ბჰაგავად გიტას მეშვიდე თავი –
გიანა–ვიგიანა იოგა